წელიწადი პირველი.

ცალკე ნომერი 3 კ.

თბილისი, ხუთშაბათი 29 ივნისი 1906 წ.

# ახალი ცხოვრება

თბილისი, ხუთშაბათი 29 ივნისი, 1906 წ.

№ 8. ყოველ დღიური გაზეთი. № 8.

**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 1-ლ ივლისს.**

პირველ ივლისიდან მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ გაზეთ

„ახალ ცხოვრებაზე".

გაზეთი ღირება:

**თფილისში:** წლიურათ—5 მ., ექვსი თვით—2 მ. 50 კ., თვიურათ—50 კ.
**ქალაქს გარეთ:** წლიურათ 6 მან. ექვსი თვით 3 მ., თვიურათ—60 კ.

**ცალკე ნომერი ყველგან 3 კაპ.**

ვინც გაზეთს წლის ბოლომდი გამოიწერს იმას გაზეთი 20 ივნისიდან 1 ივლისამდე უფასოთ დაეთმობა.

რედაქციის ადრესი: სემიონოვის ქუჩა № 4.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „Ахали Цховреба".

## ქუჩა ალაპარაკდა!

დღემდის სათათბირო ლაპარაკობდა — ის ყველას აშენებას პირდებოდა და „თავისუფლებაზე" ბაასობდა.

ხალხი ყურს უგდებდა და ელოდა — მას თითქოს იმედები ესახებოდა გულში.

მაგრამ გაცრუვდა იმედები.

როცა შეწუხებულმა, ქანც გაწყვეტილმა მუშებმა თავის გაჭირებაზე მიმართეს სათათბიროს და უკეთესი ცხოვრება მოითხოვეს, სათათბირომ სიტყვა პანზე ააგდო და „თავაზიანათ" უპასუხა: რა თქმა უნდა, ცუდია გაჭირება, მაგრამ რა გეჩქარებათ, ხვალაც ამ დღისა არისო!

როცა დამშეულმა გლეხობამ თავისი ჭირ-ვარამი გააცნო სათათბიროს და მიწები მოითხოვა, სათათბირომ აქაც ბანზე ააგდო სიტყვა და ფარისევლურათ უპასუხა: რა გაღელვებთ, თქვენ სრული უფლება გაქვთ მიწები გამოიყიდოთ, თუ კი ამისთვის საკმაო ფული მოვეპოვებათო!

როცა სალდათებმა, იმავე მუშებისა და გლეხების შვილებმა, უკეთესი პირობები მოსთხოვეს სათათბიროს, მან რეაქციაზე მიუთითა და თითონ პილატესავით ხელები დაიბანა—ეგ ჩემი საქმე არ არისო!

და როცა მუშებისა და გლეხების წარმომადგენლებმა ხმა აიმაღლეს, როცა მათ ერთხელ კიდევ მოაგონეს სათათბიროს სულის ჩამდგმელ კადეტებს მათი გუშინდელი დაპირებანი,—კადეტები ყელში სწვდნენ და ჩააჩუმეს ისინი: „აქ მიტინგი არ არის და მეტ ლაპარაკს თავი დაანებეთო"!

და აი, რევოლიუციონური ხალხი ამღელვარდა, მან ზურგი შეაქცია ანტირევოლიუციონურ სათათბიროს და თავისი გზით გასწია თავისი მიზნისკენ.

ამოძრავდნენ მუშები და დაიწყო გაფიცვები ქალაქებსა და დაბებში. პეტერბურგიდან დაწყებული თფილისამდე ყველგან გაფიცვის დროშა ასწიე: 8 საათიანი სამუშაო და ადამიანური უფლებებიო!

ამოძრავდნენ გლეხები და ცეცხლის ალი მოედო მებატონეთა ქონებას. რუსეთის ერთი კიდიდან მეორე კიდემდე ყველგან ერთი და იგივე ხმა აგრიალდა: მიწა და ადამიანური უფლებებიო!

სალდათებმაც გაფიცვებსა და მიტინგებს მიმართეს— ჩვენ ვუერთდებით მუშებსა და გლეხებსო!

სათათბირო კი ამ დროს ლაპარაკობდა, დიახ, ლა-პა-რა-კობ-და.. ის გრძნობდა, რომ მას შემდეგ, რაც მან უარჰყო ხალხის მოთხოვნები, ვერასდროს ვერ გადიქცეოდა ხალხის რევოლიუციონურ ცენტრათ, ის გრძნობდა, რომ ვერ იკისრებდა რევოლიუციის ბელადობას, გრძნობდა, რომ ხალხმა უკვე ზურგი აქცია მას და თავისი გზით, რევოლიუციონური გზით, გასწია თავისი მიზნისკენ,—და აი, სათათბირომ გადასჭრა მსხვილი ბურჟუაზიის ცენტრათ გადაქცეულიყო და მის ინტერესებზე ეზრუნა. მან ვაჭრობა გამართა რეაქციასთან, მან კადეტების პასუხის მგებელი სამინისტრო მოითხოვა, რომ ამ სამინისტროს შემწეობით კავშირი შეეკრა რეაქციასთან და, ამგვარათ, ნიადაგი მოემზადებინა მსხვილი ბურჟუაზიის თვითმპყრობელობისთვის. სწორეთ ისე, როგორც ეს გერმანიაში მოიქმედეს მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა 1848 წელში: „მსხვილმა ბურჟუაზიამ, რომელიც თაობითვე ანტირევოლიუციონურია, თავის დაცვის და თავდასხმის კავშირი გააკეთა რეაქციასთან, რადგანაც მას ეშინოდა ხალხის"... (კ. მარქსი. „ახალი რეინ. გაზეთი").

და აი. იმ დროს, როცა კადეტები და რეაქცია ერთმანეთში ვაჭრობდნენ, როცა ისინი კავშირსა ჰკრავდნენ მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ, როცა ტრეპოვიც კი მხარს უჭერდა კადეტების „მოთხოვნას" და „საქმე რიგიანათ" თავდებობდა,—იმ დროს პეტერბურგის პროლეტარიატმა წითელი დროშა ასწია და ქუჩაზე გამოიშალა! მან ზიზღი გამოუცხადა კადეტების მოღალატეობას, მან ქუჩიდან მოინდომა მათი და რეაქციის კავშირის გარღვევა, მან ქუჩის ბრძოლისკენ მიუთითა რევოლიუციონურ ხალხს და მით ქვეყანას ამცნო, რომ რევოლიუციის ბედი რევოლიუციონურ ქუჩაზე უნდა გადაწყდეს!

ქუჩა დაიძრა! ქუჩა ალაპარაკდა! ახლა მისი ჯერია!

მაშ დაჩუმდით თქვენ, ფარისეველო კადეტებო, სიტყვა ქუჩას ეკუთვნის!.

**კობა.**

## ახალი ამბები

სახელმწიფო სათათბიროს წევრს ამხ. ნოე ჟორდანიას გუშინ შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს: „წვრილ მოვაჭრეთა საზოგადო კრებამ დღეს, 27 ივნისს დაადგინა

**ჯარის აჯანყება ტამბოვში.—ყაზახებიც ილვიძებენ.—ხალხის მომხრე ყაზახებს მუშები მხარს უჭერენ.—გლეხთა მოძრაობა მძვინვარდება.—ადესის პორტში საერთო გაფიცვაა.**

გთხოვთ თქვენ, მოახსენოთ სათათბიროს თფილისის გენერალ-გუბერნატორის იმ ახალი, უმაგალითო განკარგულების შესახებ, რომელიც მოვაჭრე კლასის კეთილდღეობას ძირიან-ფესვიანათ მოსპობას ემუქრება 22 ივნისის გაფიცვის გამო. იმან 5 დღით დააკეტია ყველა ტრაქტირები, სარდაფები და ღვინის სავაჭროები, დანარჩენ ვაჭრებს კი 150,000 მანეთი ჯარიმა შეაწერა. რომელიც 28 ივნისამდი უნდა იქნას შეტანილი, წინააღმდეგ შემთხვევაში ის სამუდამოთ აწყვეტინებს ვაჭრობას. ასეთი სასჯელი გვხდა ჩვენ იმისთვის, რომ თანაგრძნობა გამოუცხადეთ მინგრელსკი პოლკის 27 სალდათს და პროტესტი მთავრობას ულმობელ მოქმედებისთვის. ჩვენ ასეთ საჯელს უკანონოთ ვსთვლით და გადავწყვიტეთ წინააღმდეგობა გაუწიოთ მას, თუნდაც ამ წინააღმდეგობამ ვაჭრობის სრულიათ აღკრძალვა გამოიწვიოს. ასეთი განკარგულებებით ადმინისტრაცია ცხად პროვაკაციას ეწევა და მოუმზადებელ ხალხს ბრძოლის ველზე იწვევს.

ამას გარდა ვთხოვთ სამხედრო წესების მოხსნას, მთელი ადმინისტრაციის სამართალში მიცემას და დამფუძნებელ კრებას საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით, რომელიც ბოლოს მოუღებს ხალხის ჩაგვრას და დაბეჩავებას და მსხვილი და წვრილი „ოპრიჩნიკების" აღვირ წახსნილობას.

✦ კავკასიის ნამესტნიკის განკარგულებით, იმ თანხიდან, რომელიც ხალხის დაჯარიმებით იკრიბება, 3570 **მან. მიეცა** ოზურგეთის მაზრის 26 საპოლიციო საგრობო სტრაჟნიკებს. („შრომა").

✦ 28 ივნისს დილის 8 საათზე გაიმართა მიტინგი ელექტრონის ტრამვაისა და ყორგანოვის კონკის მოსამსახურეთა: კონდუქტორების, ვატმანების და სხვების, რიცხვით 600 კაცამდე. მიტინგზე მოიწვიეს ტრამვაის დირექტორი. ლაპარაკი ჰქონდათ 22 ივნისს მომხდარ გაფიცვისა გამო გენერალ-გუბერნატორის განკარგულების შესახებ, რომლის ძალითაც ყ ელა მოსამსახურე დაჯარიმებულია ჯამაგირის ოცი პროცენტით. მიტინგზე სასტიკი პროტესტი გამოაცხადეს ასეთი ძალმომრეობის წინააღმდეგ და გადაწყვიტეს არც ერთი კაპეიკი არ გადაიხადონ. აგრეთვე ილაპარაკეს ყორგანოვის კონკაზე მოსამსახურე კონდუქტორისა და ორის კუჩერის ექვით დატყვევების შესახებ უბნის ზედამხედველის გაიდუკოვის მოკვლის გამო, (დატყვევებულთ ადმინისტრატიულის წესით ასახლებენ). მიტინგმა პროტესტი გამოუცხადა ადმინისტრაციის ასეთ უკანონო მოქმედებას და მოითხოვა დაუყოვნებლივ მათი განთავისუფლება. მიტინგმა მოსთხოვა აგრეთვე დირექტორს წინეთ დათხოვნილ და გადასახლებულ ამხანაგების უკანვე მიღება. მიტინგი საათ-ნახევარს გაგრძელდა.

✦ დღეს საღამოს 8 საათიდან დანიშნულია ფარმაცევტების კრება ალექსანდროვის ბაღში პუშკინის ბიბლიოთეკაში. კრება ნებადართულია გენერ ლ-გუბერნატორისაგან.

✦ 27 ივნისს ავჭალის ქუჩაზე მოუკლავთ ვიღაც მეეტლე. მკვლელები მიიმალნენ.

✦ სამღვდელოება ტელეგრამას უგზავნის პეტერბურგში ილია ჭავჭავაძეს და სთხოვს, სხვათა შორის გადასცეს ახლათ დანიშნულ ექსარხოს ნიკონს, რომ იგი საქართველოსკენ არ გამოემგზავროს, ექსარხოსათ.

✦ 27 ივნის ქალაქის თვითმართველობის სადგომში ამომრჩეველთა ბიურომ თათრების წარმომადგენლებთან ერთათ გამართა კრება, რომელსაც აზრათ ჰქონდა გამოერკვია მიზეზები და გამოენახა ზომები თათარ-სომეხთა შეტაკების მოსასპობათ. კრებამ საჭიროთ სცნო შემდეგი ზომების მიღება: მოეწყოს ქალაქის ნაწილებში კლუბები, ბიბლიოთეკები, ლექციები და სხვა, გამოიცეს ყოველ-დღიური გაზეთი თათრულ ენაზე. ფულები ამ გადაწყვეტილების განსახორციელებლათ მოეთხოვოს ქალაქის თვითმართველობას და აგრეთვე გამოსცენ მოწოდება საზოგადოების მიმართ ნივთიერ დახმარების აღმოსაჩენათ.

✦ გუშინ უსაქმოთ დარჩენილთა ბიუროს ჰქონდა კრება, რომელზედაც ამოწმებდნენ, თუ ვინ რამდენათ საჭიროებს საზოგადო სამუშაოს. როგორც აღმოჩნდა ბევრი ჩაწერილთაგანი სრულებით არ საჭიროებს. ასეთ სამუშაოს, ამიტომ მათ სამუშაო არ მიეცემათ.

✦ გუშინ დილის 10 საათზე ვაჭარი ლ. ნ. ვარაბიევის ცოლმა საკომერციო ბანკში „პერეოდით" მიიღო 14,500 მან. როდესაც ვარაბიევის ცოლი ფულით ხელში ქუჩაში გამოვიდა და დვორცოვი ქუჩაზე როტინოვის მაღაზიას გაუსწორდა უცნობმა ახალგაზდა ყმაწვილმა წაჰკრა ხელი, ხოლო მეორე ჩოხა-ახალუხით გამოწყობილმა გამოსტაცა ხელიდან ფულები და გაიქცა. ფულის წამღებნი მიიმალენ.

✦ ივნისის 28-ს მოხდა კრება თბილისში არჩეულ ორასტანებისა, სამიკიტნოებისა, სარდაფების და სირაჯების წარმომადგენლებისა. ჰქონდათ მსჯელობა პატენტების აღების შესახებ წვრილ ვაჭართა საზოგადო კრების დადგენილებისა თანახმად და ერთხმად გარდასწყვიტეს სანამ სამხედრო დროის წესები არ აიხსნება თბილისში და ვაჭრობა-მრეწველობა და ცხოვრება თავის კალაპოტში არ ჩადგება მანამ არ ავიღოთ პატენტები და არავითარი სახელმწიფო ხარჯი არ გავიღოთ; და, თუ ბიუროკრატიული მთავრობა თავის ჩვეულებრივ ძალმომრეობას მიმართავს, და ჩვენგანს რომელიმეს დაუკეტავს სავაჭროს ან ვაჭარს დაატუსაღებს, მაშინ გავიფიცებით.

✦ რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნები (ვ. გადილიას გამოცემანი): 1) ა. ლომთათიძე, როგორ უნდა მოხდეს ხალხის წარმომადგენელთა არჩევნები. ფ. 4. კაპ 2) დიკშტეინი. ლუკ-

მა პურის ამბავი. ფ. 6 კაპ. 3) ა. არნუ. თავისუფლებისთვის მებრძოლნი. ფ. 5 კაპ. 4) ა. ბებელი. დედაკაცი. ფ. 6 კაპ. 5) წერილები ძმასთან. ფ. 10 კაპ. 6) მუშის სიტყვა მსაჯულების წინაშე ფ. 4 კაპ. 7) რენანი. ცხოვრება იესოსი. ფ. 50 კაპ. 8) ბებელი. ქრისტიანობა და სოციალიზმი. ფ. 5 კაპ.

✦ თბილისის ადმინისტრაციამ გამოსცა შემდეგი შინაარსის განკარგულება, რადგან ბოლოს დროს თბილისში ხშირათ ემჩნევა, რომ ვიღაც უცნობნი სამხედრო ფორმაში გამოწყობილი დადიან, ამისათვის განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ასეთ პირებს, დაატუსაღონ და კომენდანტის სამმართველოში წარადგინონო.

# პრესა

კადეტები მთელ თავიანთ იმედებს სათათბიროსა და მისგან დანიშნულ სამინისტროზე ამყარებენ. ჩვენ ეს, რა თქმა უნდა არ გვიკვირს— კადეტებს კადეტები იმიტომ ჰქვიან, რომ უნდა სცდებოდნენ... მაგრამ როცა ამისთანა ცრუ იმედები ზოგიერთ ჩვენ ამხანაგებსაც გაიტაცებს ხოლმე, ამაზე არ შეიძლება გაჩუმება. აი, მაგალითად, ნ. ხ. ამბობს, რომ „ძველი სამინისტროს გადაყენება და (კადეტებისგან) პასუხის-მგებელი სამინისტროს შედგენა თვითმპყრობელობის საფუძვლის მოშლაა... ეს ძირიანათ შლის თვითმპყრობელობასო“ (იხ. „ლამპარი“ № 51)- გამოდის, რომ ვიღაც ხუთ-ექვს ენა-ჭარტალა მინისტრს შესძლებია ძირიანათ მოშალოს დღევანდელი თვითმპყრობელობა! ის, რაც ხალხმა ქვეიდან ვერ გააკეთა, ხუთი-ექვსი კადეტი გააკეთებს ზეიდან, თუ მინისტრების ტანისამოსს ჩააცმევთო! აი თურმე რა ადვილათ კეთდება „ლამპრის“ ფურცლებზე ეგრეთ წოდებული რევოლიუცია! რაღა თქმა უნდა, რომ ნ. ხ. ორივე ხელით დაუჭერს მხარს კადეტების მოთხოვნას. ესაა, რომ, ცოტა დაფიქრების მერე, თითონვე შერცხვენია და ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ კადეტების მოთხოვნის მხარის დაჭერა და თითონ კადეტების მხარის დაჭერა ერთი და იგივე არ არისო:

„კადეტების მხარის დაჭერა—ეს ნიშნავს პასუხის მგებლობას ყველა იმ მოქმედებისთვის, რომელსაც-კი ჩაიდენს კადეტების სამინისტრო. სოციალდემოკრატია-კი არის პარტია უკიდურესი ოპოზიციისა“ (იხ. „ლამპ.“ № 51). ე. ი. ჩვენ კადეტებს არ ვუჭერთ მხარს. ჩვენ მხოლოთ მათ მოთხოვნას ვუჭერთ მხარსო“.

ცხადია ნ. ხ. ვერ ამჩნევს, რომ კადეტების მოთხოვნა „კადეტებოთ არ არსებობს და როცა კადეტების მოთხოვნას მხარს უჭერს ამით ის იმავე დროს მხარს უჭერს თითონ კადეტებსაც; ცხადია ეს ამხანაგი ვერც იმას ამჩნევს, რომ რამდენათაც ის მხარს უჭერს კადეტების მოთხოვნას, იმდენათ ის პასუხის გებას იღებს თავის თავზე კადეტების სამინისტროს შესახებ და, მაშასადამე, იძულებული იქნება ანგარიში გაუწიოს ხალხს, როცა კადეტების მუხანათური სამინისტრო ლაგამს ამოსდებს მუშებსა და გლეხებს... ყველა ეს ვერ წარმოუდგენია ამხანაგს და გონია, რომ რაკი სიტყვიერათ უარვყოფ პასუხის მგებლობას, ამიტომ საქმითაც ამცილდება თავიდან ეს ჩირქის მომცხები პასუხის მგებლობაო. ჩვენ ვამბობთ, რომ ასეთი მსჯელობა არ შეეფერება სოციალდემოკრატებს...

თუ ამხ. ნ. ხ. იმაში გვარწმუნებს, რომ კადეტების სამინისტრო „ძირიანათ მოშლის თვითმპყრობელობასო“, მეორე ამხ. „ლამპრის“ იმავე ნომერში უკვე დარწმუნებულა, რომ ჩვენში „პარლამენტალური წყობილებაა“ და მაშასადამე საჭიროა „კანონმდებელ ძალას“, ე. ი. სათათბიროს, თავისი სამინისტრო გაუჩინოთ, რომელიც მის სურვილებს განახორციელებსო. ამ ამხანაგს ისე ძალიანა სწამს სათათბიროს კანონმდებელი ძალა, მას ისე ძალიანა სწამს, რომ კადეტების სამინისტროს შედგენა „თვითმპყრობელურ კედლის გვერდის შენგრევაა,“ რომ უკვირს—რატომ აქამდე ვერ მიმხვდარან ამ სიმართლეს „ზოგიერთა ამხანაგებიო“. ცხადია ამხანაგი ვერ ამჩნევს, რომ დუმის კანონმდებლობა ყინულზე დაწერილი კანონმდებლობაა, რადგანაც, მაგალითათ, დუმა რომ სიკვდილით დასჯასა სპობს, მეორე დღეს სახრჩობელაზე აჰყავთ ჩვენი ამხანაგები. ცხადია ამხანაგი ვერც იმას ამჩნევს, რომ კადეტების სამინისტრო დიდს ვერაფერს გააკეთებს, რადგანაც სახელმწიფო საქმეების მატრიალური ძალი ისევ კამარილა იქნება, რომელსაც ვერავითარი დუმა და სამინისტრო ვერ მოსპობს გარდა რევოლიუციისა. სამაგიეროთ კამარილა-კი სავსებით ჩაყლაპავს კადეტების სამინისტროს, რადგანაც ძალა მის ხელშია და კადეტების სამინისტრო კი გამოადგება მას როგორც საუკეთესო „ვივესკა“ ხალხის მოსატყუებლათ. ტყუილათ-კი არ უჭერს მხარს კადეტების მოთხოვნას კამარილას ბელადი ტრეპოვი! დიახ, დიახ, სამწუხაროთ ტრეპოვი უფრო სალი თვალით უყურებს დღევანდელ ცხოვრებას, ვიდრე ზოგიერთა ჩვენი ამხანაგები...

* * *

ვინც ანს იტყვის, იმან ბანიც უნდა თქვასო—ამბობენ ნემცები. ვინც კადეტების მოთხოვნას იცავს შესახებ „პასუხის მგებელი“ სამინისტროსი, მან კადეტების სათათბიროც უნდა დაიცვას რევოლიუციონური კრიტიკისაგან—ვიტყვით ჩვენ. და აი, „ლამპარიც“ შესდგომია სათათბიროს დაცვას. (იხ „ლამპ.“ № 52). მას არ მოსწონებია ის აზრი, რომ „ახ. ცხოვრების“ შეხედულებით „სათათბირო ვერავითარ პოლიტიკურ ცენტრათ ვერ გადაიქცა“, —ეს ბლანკიზმიაო! ჯერ ერთი, რა შუაშია აქ ბლანკიზმი, როცა კითხვა ფაქტს ეხება, და არა რომელიმე ტაქტიკურ პრინციპს! მეორეთ, რატომ უყვარს „ლამპარს“ კადეტების გამეორება, რომლებიც კარგა ხანია ბლანკისტებს გვეძახიან? რით ვერ გაიგო, რომ ამ სიტყვის ხშირ-ხშირათ გამეორება, საბუთების წამოუყენებლათ, მხოლოთ სიცილს იწვევს და მეტს არაფერს? თქვენ ბლანკისტები ხართ! რატომ? იმიტომ რომ ბლანკისტები ხართ! რა მიზეზით? იმ მიზეზით, რომ ბლანკისტები ხართ! მორჩა და გათავდა, არც დამტკიცება, არც საბუთები! ნეტავი ლა თქვენს „ამხანაგურ კრიტიკას“!.. რაც შეეხება სათათბიროს, განა ცხოვრებამ არ გამოარკვია, რომ ხალხი და სათათბირო სხვადასხვა გზით მიდიან სხვადასხვა მიზნისკენ? განა არ გამოირკვა, რომ სათათბიროს მსხვილი ბურჟუაზიის თვითმპყრობელობა უნდა და ხალხს კი - ხალხის თვითმპყრობელობა? როდის იყო, რომ რევოლიუციონურმა ხალხმა თავი მოიყარა ანტირევოლიუციონური სათათბიროს უმეტესობის გარშემო? აბა სად არის ფაქტები, რატო არ გვიჩვენებთ? ჰო, შეიძლება თქვენ „მუშათა“ და „მშრომელთა“ ჯგუფები გაქვთ სახეში, მაგრამ რით ვერ გაიგეთ, რომ ეს ჯგუფები უმცირესობას წარმოადგენენ სათათბიროში და რაც მათზე ითქმის, ის არ შეიძლება ითქვას სათათბიროზე, მის უმეტესობაზე? და თუ ეს ასეა განა შეიძლება ამ რევოლიუციონურ ხანაში პოლიტიკური ცენტრი უწოდოთ ანტირევოლიუციონურ სათათბიროს? სათათბირო ცენტრიაო ახირებულხართ. დიახ, სათათბირო ცრუ იმედების ცენტრია, ის მსხვილი ბურჟუაზიის ცენტრია, მაგრამ რით ვერ გაიგეთ, რომ ჩვენს დროში ცრუ იმედების ცენტრი პოლიტიკური ცენტრი ერთი და იგივე არ არის, რით ვერ გაიგეთ, რომ მსხვილი ბურჟუაზიის ცენტრი და ხალხის რევოლიუციის ცენტრი ძირიანათ განირჩევიან ერთმანეთისგან?

# კავკასია

**გურია.** ადგილობრივი ოტრიადის უფროსის ბრძანებით ყაზახთა ერთი ასეული ქ. ოზურგეთიდგან გადაყვანილ იქმნა დ. ლანჩხუთში. ქუთაისის ციხიდან გაანთავისუფლეს ს. ს. შემოქმედის საზოგადოების მცხოვრები ვლეხი მელიტონ მგელაძე, რომელსაც ცნობილნ ნიკოკი თაყაიშვილი ბრალსა სდებდა, ვითომც ამ უკანასკნელის სიკვდილი ხსენებულ მგელაძეს ამოსვლოდეს კენჭის ყრით წილათ. ბ. ნიკოკის წყალობით არა ერთი და ორი წვალობს დღეს ქუთაისის ციხეში.

— როგორც ნამდვილ წყაროებიდან

# ფელეტონი

## ნაციონალური კითხვის გამო.

ამ ბოლო დროს ნაციონალისტი სალანძღავ სიტყვათ გადაიქცა. მისი ადგილი დაიკავა უფრო კეთილ ხმოვანმა სიტყვებმა: ფედარალისტი, ავტონომისტი, და სხ. ესენი ხელებს ასავსავებენ ნაციონალისტის ხსენებაზე და ხატსა და ჯვარს აკვდებიან—ნაციონალისტები არა ვართო. ეს საგულისხმო მოვლენაა, მაგრამ ამას წერილის ბოლოს ავხსნით. ახლა კი მთავარ საგანზე ვილაპარაკოთ.

ნაციონალისტი გამოდის ნაციის, როგორც მთელის ინტერესებიდან.

ნაციონალური ან ეროვნული საკითხი ისეთი კითხვაა, რომლის გადაწყვეტაში ერთნაირათ დაინტერესებულია მთელი ერი (ხალხი), განურჩევლათ წოდებისა და ეკონომიური მდგომარეობისა. ყოველ ერს, რომელსაც ისტორიულათ უცხოვრია, აუცილებლათ აქვს ისეთი რამ, რითაც ის შესამჩნევათ განსხვავდება სხვა ეროვნებისაგან და მის საკუთარ ავლადიდებას შეადგენს; მაგალითათ ქართველ ერს აქვს ქართული ენა, ზნე-ჩვეულებები, ლიტერატურა, მიწა-წყალი. ყველაფერი ეს ეროვნების განძია, და ყოველი ერი, რომელსაც თვითცნობიერება საკმაოთ შესწევს, უნდა ზრუნავდეს ამ განძის აყვავებაზე, მის დაცვაზე, რათა ისიც „ხალხთა შორის ხალხათ იყოს მიჩნეული“.

ასეთია ზოგადი და შეიძლება ვთქვათ იდეალური მიმართულება ნაციონალიზმისა. მაგრამ კონკრეტულათ პირობებისა და გარამოებათა მიხედვით ის ნაირ-ნაირ ფორმებათ ყალიბდება და ამ „იდეალური მიმართულებისა“ ხან ერთი მხარე წამოდგება წინ, ხან მეორე. ამ ცოდვილ დედამიწაზე მუდმივი არაფერია და ნაციონალური საკითხიც ვერ ასცდენია ცხოვრების დიალექტიკას,— ხვა-და-სხვა დროს და პირობებში ის სხვა-და-სხვა ხასიათისაა. ხან სულაც არ არის საჭირო „ნაციონალური კითხვის“ გადასაჭრელათ მთელი ერის სახელით ილაპარაკო,—საკმარისია „უმაღლესი წოდება“ მთელ ერათ აღიარო; ხან დაბალი წრეებიც გამოსადეგია. მაგრამ ნაციონალური კითხვა ასე თუ ისე მთელ ერს ეხება და ნაციონალისტიც იძულებულია ამას ანგარიში გაუწიოს.

რაკი ნაციონალისტი ნაციის „საერთო ინტერესების“ ნიადაგზე სდგას, ის თავის მოღვაწეობაში თავის ნაციას უნდა უპირდაპირებდეს სხვა ნაციას, რომლისგანაც ის იჩაგრება, ან რომლის მეტოქე თითონ არის. თუ ეს პირობები არ არსებობს, არც ნაციონალურ კითხვას ექნება ადგილი და სწორეთ ამ პირობების მიხედვით ხან ღრმათ იკიდებს ფეხს ნაციონალური კითხვა და დაჟინებით თხოულობს თავის გადაწყვეტას, ხან კი მცირე ჯგუფში იკეთებს ბინას და პატარა შებერვაც საკმარისია, რომ ის გაფუჭსავტდეს, გაქრეს.

ავიღოთ საქართველო მის რუსეთთან შეერთების პირველ ხანებში. აქა იქ იყო მღელვარება, რუსების წინააღმდეგი ზოჩქოლი და ზოგჯერ მაგ. მთიულეთში აშკარა აჯანყებათაც გადაიქცა, რომელმაც რამდენიმე თვეს გასტანა. მაგრამ შეიძლება ამას ნაციონალური მოძრაობა ვუწოდოთ? რატომაო, მეტყვიან,—აქ უცხო ერის, მისი ძალმომრეობის წინააღმდეგ იყო მიმართული მოძრაობა და მაშასადამე ნაციონალური ხასიათიც ქონდაო. ჩავუკვირდეთ ფაქტებს.

რუსეთის სახელმწიფომ, რომელმაც თავისი მფარველობის ქვეშ მიიღო საქართველო, გიორგი მეფის შემდეგ გააუქმა ქართველ მეფეთა ტახტი და აქ მთავარმართებლის დანიშვნით საქართველო თავის უბრალო პროვინციათ გადააქცია. ხელშეკრულობის ძალით, რომლითაც საქართველო რუსეთს უერთდებოდა, ქართველებს უნდა ჰყოლოდათ საკუთარი მეფე, რომელსაც რუსეთის იმპერატორი ამტკიცებდა. აი ამ პირობის დარღვევას შეიძლებოდა ქონოდა ქართველ ხალხზე ასეთი თუ ისეთი გავლენა და სწორეთ ამ ნიადაგზე აღმოცენდა ის „მოძრაობა“, რომელსაც დიდი დღე არა ჰქონია და ხალხი (თვით უმაღლესი წრეებიც კი) სრულებით არ შეურყევია. ამ „მოძრაობის“ თავი და ბოლო ტახტის მაძიებელ ბატონიშვილები იყვნენ, რომლებსაც გარდა სამეფო ტახტის მიმხიდველობისა სხვა მიზეზებიც ქონდათ უკმაყოფილო ყოფილიყვნენ და „რუსების წინააღმდეგ“ ამხედრებულიყვნენ: მათ მთავრობამ ჩამოართვა მამულები, სოფლები, ქარვასლები, ქარხნები, სამღებროები, ვენახ-ბაღები და ამ მხრით მათ ყოფას გაცილებით სჯობდა მათი ნაქვეშევრდომალი თავადის მდგომარეობა. ერთათ ერთი გზა, რომელიცმათ ძველ დიდებას დაუბრუნებდა, —ეს სამეფო ტახტის აღდგენა იყო, და ისინიც არაფერს არ ერიდებოდნენ ამ მიზნის მისაღწევათ. ბატონიშვილი იულონი ემუდარებოდა საქართველოს მმართველს ციციანოვს—მიშუამდგომლე იმპერატორთან დამიბრუნოს სამეფო ტახტიო, თანაც ისეთ პირობებს უდებდა, რომ სახელი მისი ყოფილიყოს და სახრავის კარგა მოზრდილი ნაწილი კი სხვისი: „ყოველი მადიდნი საქართველოსანი იყვნენ ხელსა ქვეშე უმაღლესისა კარისა, ხოლო მეფობა საქართველოსა ეგოს შეუძვრელათ და თვით მეფე უკანასკნელ წვეთამდე სისხლითა ფიცით შეკრული, ყოვლისა კმაყოფითა მსახურებდეს მხედრობასა რუსეთისასა“. ბატონიშვილი ალექსანდრე ტახტის ძიებამ იქამდინაც კი მიიყვანა, რომ სპარსეთში გადაიხვეწა და სხვა-და სხვა ხანებთან აწყობდა საქმეს, რომ მათი ჯარით შემოსეოდა საქართველოს და „რუსები ამოეჟლიტა“. მეფობის მანიით დაბრმავებული, ის საქართველოს ამაოხრებელ აღა მაჰმად-ხანსაც კი წამოუძღვებოდა, ოღონდ კი მისი შემწეობით რუსები გაერეკა და თითონ მის ვასალათ დამჯდარიყო საქართველოში. ბატონიშვილი ფარნაოზი მთიულეთში დანავარდობდა, სადაც ამ დროს სულ სხვა ნიადაგზე სერიოზული აჯანყება იყო რუსის მხედრობის წინააღმდეგ. ფარნაოზი ცდილობდა ამ აჯანყების ნაკადულები თავის წისქვილისაკენ

გაიგეთ, ბ. ჩხიკვიშვილი რომელიც ამ ჟამათ ქუთაისის საპყრობილეში იმყოფება მეტად ცუდ მდგომარეობაში ყოფილა. საპყრობილოს ნესტიან და აუტანელ პირობებს საშინლათ უმოქმედნია ჩხიკვიშვილის ორგანიზმზე, რის გამოც ავათ იმყოფება ეხლა. ხანდისხანს სისხლსაც ალებინებს ხოლმე.

— 21 ივნისს ქ. ოზურგეთს ეწვიო დასი „ქართული ახალი დრომა“. დასმა გამართა სამი წარმოდგენა და სამივე წარმოდგენის წმინდა შემოსავლის ერთი მესამედი, (მზრუნველი კომისია სამკითხველოსათვის წყაროების გამოსანახავათ კარგა ხანია არსებობს) კომისიის თხოვნით გადადვეს ოზურგეთის სახალხო სამკითხველოს სასარგებლოთ, რომელიც ამ ცოტა ხანში უნდა გაიხსნას. ითამაშეს ,,ფერდინანდ ლასალი'' ,,მეზობლები'' და ვოდევილები. საზოგადოთ წარმოდგენებმა კარგათ ჩაიარა და ხსენებული დასი მადლობის ღირსია ქველმოქმედებისთვის. ოზურგეთის მომავალ სამკითხველოს დარჩა ორმოც და ათი მანეთი და 35 კაპიკი.

— კვირას 25 ივნისს ს. ბახვში დანიშნულია სახალხო წარმოდგენა, რომლის წმ ნდა შემოსავალი მოხმარდება პარტიულ სამკითხველო'. სცენის მოყვარეები ითამაშებენ პიესებს: ,,ირინეს ბედნიერება'' და ,,ადვოკატი მელაძეს''.

— 24 ივნისს, შაბათს ქ. ოზურგეთში დიდი ხმაურობა ატყდა. ქუჩებში ხალხი დაფრთხდა, დედაკაცების და ბავშვების კივილს საზღვარი აღარ ჰქონდა, ასე გეგონებოდათ ქუჩებში ყაზახები გამოსულან ხალხის საჟლეტათო. როგორც ბოლოს გამოირკვა მართლა ყაზახები არ ალმოჩნდენ მიზეზი ხმაურობის. ეს გახლდენ თათრები სტრაჟნიკები, რომლებიც თოფის ყუით დარეოდენ ხალხს ვილაც მთვრალი კაცის მიზეზით. მაგრამ რუს ყაზახებზე უარესი კი ალმოჩნდენ ჩვენი მეზობლები მაჰმადიანები. ისეთი გულადობა გამოიჩინეს, რომ ბ. დიმიტრი მგელაძის გულითადი მადლობა მიიღეს. მკითხველო, ნუ დაგავიწყდება, რომ ეს ეხლანდელი სტრაჟნიკ-ბაშიბუზუკები. ყოფილი ერთობის კაცებია. ეს დრამა ისე დამთავრდა ქუჩაში, რომ არც ერთი პოლიციის მოხელე არ გამოსულა, რომ მხეცურ მოქმედებისათვის ბოლო მოეღო.

ქორჯი.

—

**ჭიათურა.** აქაურმა გაფიცვამ ჩინებულათ ჩაიარა. გათავდა მუშების სრული გამარჯვებით. წარდგენილი იყო ორმოცამდე სხვა-და სხვა მოთხოვნილებები, რომელთა შორის ყველაზე უფრო საყურადღებოა 8 საათის სამუშაო დღე. დღიდან გაფიცვისა ჩარჩები მუშებს მასხრათ იგდებდენ, მათ მოთხოვნილებებს უაზროს უწოდებდენ. მაგრამ იმავე დროს ზომებს ღებულობდენ მუშების დასამარცხებლათ: ფოთში, მაგ., ექსპლოატატორებმა თავისი საკუთარი კავშირი დაიარსეს და ამნაირათ მუშათა კავშირს თავისი კავშირი დაუპირდაპირეს. მაძღართა გუნდს უნდოდა „თავხედი“ მუშები სიმშილით დაეხოცა“... მაგრამ... ნათქვამია ციხე შიგნიდან გატყდებაო და მათი კომპანიაც მალე ჩაიშალა ჯერ კიდევ არ დაესრულებიათ თავიანთი „პლანები“ ბ-ნ ექსპორტიორებს, რომ მათ გამოეთიშენ რამდენიმე კაპიტალისტები, ჭიათურის მუშების მოთხოვნები დააკმაყოფილეს და მუშაობას შეუდგენ დანარჩენებმა იმათ პირველათ ღალატი დასწამეს მაგრამ ბოლოს ისინიც იძულებული შეიქნენ გატეხილიყვნენ.

აქ უნდა აღვნიშნო კიდევ ერთი ამბავი. ამ დღეებში მეურმე-ჩალვადრებს ერთმანეთში შეტაკება მოუვიდათ. ერთმა ნაწილმა თავი გაანება მუშაობას და დანარჩენებს ქვიანი ურმები გადაუბრუნა ტლახში. მიზეზი ჩარჩების პროვოკაცია ყოფილა. მათ უთქვამთ მეურმეებისთვის „აი თქვენ საწყლებო, ვერ ხედავთ, როგორ დაგატყვილეს თქვენმა ორგანიზატორებმა, განა შეგიძლიათ რვა საათში რამე მოიტანოთ რამე ჭიათურაში?“ გასჭრა მათმა პროვოკაციამ და შედეგათ ის მოჰყვა, რომ გაჩაღდა ურმების გადაბრუნება. ამ სცენას გაღმიდან კაზაკებმა მოკრეს თვალი და შეიარაღებულნი ქუჩებში შეიჭრენ. უბედურება მოსალოდნელი იყო, მაგრამ უგნური მუშები აქეთ-იქით მიიმალენ. და კაზაკებიც დაბრუნდენ თავიანთ კაზარმებში. იმავ დღეს მთელმა მეურმე ჩალვადრებმა თავი მოიყარეს თეატრის წინ და აქაურ პარტიულ მუშაკებს შეატყობინეს თავიანთი გარემოება. აქ სხვათა შორის გამოირკვა, რომ სასწორების სიმცირის გამო ვერ ასწრებენ ჩალვადრები „გზობების მოწონას“, ასე რომ ვინც სამ გზობას აკეთებდა უწინ, როდესაც განუსაზღვრელ დროს მუშაობდა, მან ერთი გზის მეტი ვერ ჩამოიტანა. მოითხოვეს სამუშაო დროის გაგრძელება!!. ამ მიზეზს კიდევ ის დაუმატეს, რომ მწონლები კიდევ განაგრძობენ პარვასო, ასე რომ თითო ცხენის საპალნეზე რომ სამი ფუთი არ მოიპარონ, იშვიათი საქმეა. მწონელთა შორის მხოლოთ ერთად ერთი პატიოსანი კაცი გამოდგა (გოგოლაშვილი). უვარგისად ცნეს აგრეთვე მრეწველთა საბჭოსაგან დაყენებული კანტროლიორები; მათ და მწონელების წინაალმდეგ გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია: 1. საჭიროა დაიცვალოს მრეწველთა საბჭოდან დანიშნული კანტროლიორები, რადგან. იგინი არ იცავენ მუშების ინტერესებს და მათ მაგიერ დაინიშნოს მოწინავე მუშების მიერ არჩეული კანტროლიორები. 2. დაევალოს ნოქრების პროფესიანალურ ბიუროს (რომელიც ჭიათურაში უკვე არსებობს) მიიღოს უკულმართი მწონლების წინაალმდეგ ზომები მათი გასწორებისთვის. აგრეთვე იმ მუშას, რომელიც გაუგებს მწონელს უკუღმართობას წონაში, რომ მწონელმა არ გააძევოს იგი, როგორც აქამდე ხდებოდა, მხარი დაუჭირონ მთელმა მეურმე—ჩალვადრებმა, 3. ერთი მწონლის რ. ხაზარაძის შესახებ კრებამ მიიღო მხედველობაში, რომ მისი გასწორება შეუძლებელია, რადგან იგი წონის დროს ქურდობას არ მოიშლისო დაადგინა: მიეცეს წინადადება პროფესიონალურ ბიუროს გააძევოს ეს პირი. და მის ალაგას დანიშნოს სხვა საიმედო პირი. შემდეგ კომისია რომელმაც მწონლები შეითანხმა დროებით ათი საათის მუშაობაში სასწორზე. ასე მშვიდობიანათ დასრულდა ჩალვადარ-მეურმეთა კრება..

ჭინჭრაქა.

---

**მეტეხის ციხე**

(დასასრული *).

უნდა აღვნიშნოთ, რომ თითქმის ყველა დელეგატი იმ აზრის იყო, რომ ვ. გ. წინადადება მიეღოთ. რამოდენიმე ხნის შემდეგ ვიცე-გუბერ. და სხ. კარში გამოვიდენ, სადაც ვ. გ. კიდევ მიმართა ხალხს და სთხოვა მისი წინადადების მიღება. მაშინ ხალხმა უთხრა: „სადაა გარანტია იმისი, რომ ჩვენ არჩეულებს ხელიდან არ გამოგვლეჯთ და სხვაგან არ გაგზავნითო. ვ. გ. სიტყვა მისცა ელეგატებს პიროვნების „ხელშეუხლებლობაზე“. აქ ერთხელ კიდევ გახურდა მიტინგი და მაშინ კი მიღებულ იქმნა „წინადება“. ხალხი დაიშალა. მოლაპარაკება დაიწყო. დელეგატებმა გაუმეორეს ვ. გ. მოთხოვნები. ბევრი მოთხოვნებთაგანი დააკმაყოფილეს. გაჯიუტდენ მხოლოთ კარებების ღია დატოვებაზე. ეს კანონს ძირიანათ ეწინააღმდეგებაო. დელეგატებმა განუცხადეს—თქვენ თუ კანონების თანახმათ დაიწყებთ ლაპარაკს, მაშინ ჩვენი შეთანხმება შეუძლებელია და რომ ეხლავე გავშორდეთ ის აჯობესო. ორში ერთიო, უთხრეს დელეგატებმა, ან „კანონიერება“ და სისხლი, ან ცოტაოდენი ადამიანობა, მკვდარი კანონის გვერდის ახვევა და ციხეში მშვიდობიანობა, აირჩიეთ რომელიც გნებავთო. ამის შემდეგ დელეგატები გამოვიდნენ გარეთ. ხალხი იმ წამსვე ისევ გამოიფინა

*) იხ. № 6.

ჩაეტარებია, რისთვისაც ძალ-ღონეს არა ზოგავდა.

ყველა ეს ცდა ბატონიშვილების მხრით სამეფო ტახტის მოპოვებისა თითქმის ერთ და იმავე დროს ხდებოდა, მაგრამ არც ერთს მათ არჩეულ გზას არავითარი ნაყოფი არ მოჰქონდა. ქართველი თავად-აზნაურობა — ეს ერთად ერთი საიმედო ყავარჯენი ბატონიშვილებისა, სდუმდა და მათ სულის კვეთებაზე ყურს არ იბერტყავდა. პირიქით, ცოტათ თუ ბევრათ გავლენიანი და ძალის მქონე თავად-აზნაურობა მტრულათ უყურებდა მათ უდღეო ფუსფუსს და მთავრობას შველოდა მათ დევნასა და დაჭერაში. თავად-აზნაურობაზე არავითარ გავლენას არ ახდენდა ბატონიშვილების მანიფესტები და მოწოდებები, სადაც ისინი იწვევდნენ მას „მამულის თავისუფლებისათვის“ საბრძოლველათ და თავისი მხრით დიდ წყალობასა და უხვ ჯილდოს პირდებოდნენ. თავად-აზნაურობაც იმ თვალით უყურებდა მამულს, როგორც ბატონიშვილები: თუ ამ უკანასკნელთათვის „მამულის განთავისუფლება“ მოასწავებდა სამეფო გვირგვინით თავის შემკობას და მით მათი პირადი უპირატესობის გამტკიცებას, თავად-აზნაურობაც არ იყო ურიგო მდგომარეობაში: ბატონიშვილების მოწვენებულ წყალობას ისინი ამჯობინებდნენ რუსეთის მთავრობის უფრო რეალურ „წყალობებს“, გენერლების და პოლკოვნიკების ჩინებს და მასთან დაკავშირებულ უხვ ჯამაგირებს; აგრეთვე ისინი მადლიერნი უნდა ყოფილიყვნენ რუსეთის მთავრობისა, რომელმაც უზრუნველჰყო მათი საცხოვრებელი გარეშე მტრების აოხრებისაგან. ამნაირათ მაშინდელმა „მოძრაობამ“ ვერავითარი კვალი ვერ დააჩნია ცხოვრებას, თავად-აზნაურობაც კი ვერ შემოიკრიბა თავის გარშემო და უდღეოთ დაბადებული, უდღეოთ მოკვდა. თუ ამას მაინც ეწოდება მოძრაობა, ჩვენ შეგვიძლია მას ტახტის ნაციონალიზმი დავარქვათ.

გავიხსენოთ ახლა 30 წლების „მოძრაობა“ საქართველოში. ის ბევრით არ განსხვავდება ზემოთ აწერილისაგან. აქ ბატონიშვილების ინიციატივა იმდენათ არ ჩანს, მათი ადგილი ახალგაზდა თავადიშვილებს უჭირავს და ასე თუ ისე უფრო ფართო წრეებია აქ ჩათრეული; მაგრამ იმასაც შეთქმულობის ხასიათი აქვს და სიცოცხლის ნიშან-წყალი აკლია. მაშინდელ ფარულ საზოგადოებას, „მამულის სიყვარული და ერის ამპარტავნება“ გამოჰქონდა თავის ლოზუნგათ, ჰქონდა მას „მეგობრობის წესი“, რომელიც ცალდებულათ ხდიდა შეთქმულობის წევრს „ჩაეგონებინა ყმაწვილებისათვის მამულისა და ბაგრატიონების სიყვარული, გაეხსენებინა ხალხისთვის ძველებური საქართველოს მეფეები, რომელთ დროს ყოველ კაცს ქონდა შეძლება მისულიყო მეფესთან და ეთხოვა მსწრაფლი სამართალი (მეუნარგიას წერილი გ. ერისთავზე). შეთქმულებმა აჯანყების გეგმაც შეიმუშავეს: აქაური რუსის დიდკაცობა ბალზედ უნდა მოეწვიათ და იქ დაეტყვევებინათ, შემდეგ ჯარს გასწორებოდნენ და ამნაირათ „სამშობლო გაენთავისუფლებინათ“. „არეულობის დროსათვის უნდა გაევრცელებინათ ხმა დაბალ ხალხში, რომ ქართველების სალდათათ გაყვანა მოინდომეს რუსებმა და თავადები მიტომ ჩხუბობენო“ (იქვე). მთელი ეს „მოღვაწეობაც“ მითი გათავდა, რომ თითქმის ყველა შეთქმულები დაიჭირეს და ამ „მოძრაობის“ ყოველივე ნასახი მოისპო.

„მამულია სიყვარული და ერის ამპარტავნება!“ რომელი ჯურის ნაციონალისტი გინდათ, რომ ეს სიტყვები პირზე არ ეკეროს და მის გახსენებაზე პოეტურ ზეშთაგონებას არ ეძლეოდეს. რომელი ერის ამპარტავნება ქონდათ სახეში 30 წლის შეთქმულთ? ერი—ეს მაღალი წოდებაა, ქვეყნის მარილი, მისი ბატონ-პატრონი. ის გულ ნატკენი იყო, რომ უმაღლესი ადგილები მის მაგივრათ რუსის მოხელეებს ეჭირათ, ის შეურაცხყოფილი იყო, რომ ყველგან თავი უნდა დაეჭირა როგორც შევრდომილს, მორჩილს და არა როგორც მასპინძელს. ამ შეთქმულთა ბრწყინვალე გუნდისათვის ხალხი სრულიად არ არსებობდა, ისინი მოქმედებდნენ ხალხის ზურგს უკან და მის წინაალმდეგ: „ხმები დავყაროთ, რომ რუსებმა ქართველების სალდათათ გაყვანა მოინდომეს და მიტომ ჩხუბობენ თავადებიო“. მაშასადამე, პირველივე მათი ნაბიჯი ხალხის აშკარა მოტყუებით უნდა დაწყობილიყო, რათა მოღორებული ხალხი თავისი ეგოისტური ინტერესებისათვის გამოეყენებინათ. ასე ესმოდათ მათ „ერის ამპარტავნება“, ასე შველოდენ ისინი „სამშობლოს“, ასეთი იყო მათი ნაციონალიზმი. მათი იდეალი იყო ბაგრატიონების გამეფება, ფეოდალური უფლების კიდევ უფრო გამაგრება, თავად-აზნაურობის და სამღვდელოების გაძლიერება; ეს ნაციონალიზმი იყო მონარქიულ-ფეოდალურ-კლერიკალური.

იმ დროს, როდესაც საქართველოში ზემოთ აღწერილი ამბები ხდებოდა, ნამდვილი ერი—ხალხის დიდი უმრავლესობა მეტათ უნუგეშო სურათს წარმოადგენდა. ის წელ-მოწყვეტილი იყო „ბრწყინვალე“ წოდების სამსახურით და მთელი მისი ცხოვრება სახედარ პირუტყვისაგან არ განირჩეოდა; მის საზოგადოებრივ მდგომარეობაზე ლაპარაკიც კი მეტია. აშკარაა აქედან, რომ მაშინდელი პატრიოტები, „მამულის სიყვარულით“ და „ერის ამპარტავნებით“ გატაცებულნი სათვალავში არ აგდებდენ ნამდვილ ერს და ფიქრათაც არ მოსდიოდათ მისი სურვილებისთვისაც ასე თუ ისე ანგარიში გაეწიათ. იმისი შიში კი ჰქონდათ, ვაი თუ ეს ხეპრე ხალხი ჩვენს ნამდვილ სურვილებს მიგვიხვდესო და ამის წინაალმდეგ დროიანათ ზომებს ღებულობდენ. ერთი სიტყვით ეს ფეოდალური ნაციონალიზმი სავსებით შეეფერებოდა მაშინდელ დროს, როდესაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ასე თუ ისე თავად-აზნაურობა იყო გამოსული და გლეხობას კი ამ მხრივ არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა.

ხხვამელი

(შემდეგი იქნება)

ეზოში და შემოერტყა მათ. როცა მოისმინეს ყველაფერი გადასწყვიტეს — დავბრუნდეთ კამერებში და თავ-ცოცხალი კლიტეებს ნუ დავადებინებთო. მაგრამ კლიტეების დადებას ალარავინ შეცდილა და დღისით მუდამ ღიაა. ამ ყოფაში დაღამდა 20 ივნისი. მოყარაულე სალდათები უყურებდნენ მთელი დღე ამ სურათს და სიამოვნებით იღიმებოდნენ, ბევრი მათგანი კიდეც ამხნევებდა ხალხს. ვიცე გუბერნატორის მოსვლის შემდეგ თბილისის პოლკის მეცხრე როტა მოვიდა საბრძოლველათ გამოწყობილი, სანიტარული რაზმიც თან ახლდა. სანამ მოლაპარაკება გათავდებოდა ეს როტა ციხის შემოსავალ კარებთან იდგა გარედან. როგორც ჩანს ციხის მოყარაულე როტებს ვერ ენდობიან. მეორე დღეს, 21-ში, როცა უფროსი ციხის ეზოში შემოვიდა, ყველა ტუსაღები გადმოდგნენ აივნებზე და დაუწყეს ერთხმათ ყვირილი: ძირს ხულიგანი, ძირს პროვოკატორი! და თან მუშტებს უჩვენებდნენ. ყარაული სალდათები (ეს სხვა როტა იყო) ამ დემონსტრაციასაც სიცილით შეხვდნენ.

22 ამ თვეს დილით, როცა მინგრელსკის პოლკის 27 სალდათი სასამართლოში მიჰყავდათ, მეტეხის ძირში გამოატარეს; დაინახეს თუ არა ეს ტუსაღებმა მაშინვე ფანჯრებთან მოგროვდნენ და მჭექრათ დასძახეს — გაუმარჯოთ ამხ. სალდათებს! გაუმარჯოთ სიმართლისათვის მებრძოლებს! ძირს სამხედრო სასამართლო! ძირს თვითმპყრობელობა!.. სალდათებმაც ქუდების ქნევით და ძირს თვითმპყრობელობის ძახილით უპასუხეს. ამ მისალმებაში „უგოლოვნები“ უფრო მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ. — ამ დღეს ყარაულ სალდათებს პლასტუნებიც მიუმატეს.

ასეთია მეტეხის ციხის ტუსაღთა სულიერი მდგომარეობა.

## პარტიის ცხოვრება

სარაიონთაშორისო კრება თბილ. ორ. რ. ს. დ. მ. პ. ამ დღეებში მოხდა სარაიონთაშორისო კრება, სადაც სხვათა შორის ორ კითხვას შეეხნენ: კავკასიის სიეზდს და რეორგანიზაციას. მეორე კითხვის შესახებ კრებამ გადასწყვიტა, რომ ამ რამდენიმე დღეში აუცილებლათ უნდა მოთავდეს რეორგანიზაციის დაკლადები, რათა დაუყონებლივ შეუდგეთ თითონ რეორგანიზაციის განხორციელებას. რაც შეეხება მეორე კითხვას, კრებამ არ მიიღო ეგრეთ წოდებული „კავკასიის ბიუროს“ წინადადება შესახებ სიეზდის დაჩქარებისა და გადასწყვიტა, რომ გადიდოს სიეზდი თვის ბოლომდე, სანამ რეორგანიზაციის საქმე მოთავდებოდეს თბილისში.

27 ივნისს მოხდა მეორე რაიონის **პოდრაიონების წევრთა საერთო კრება**. კრებას მიზნათ ჰქონდა გაერჩია საკითხი „პასუხის მგებელი სამინისტროს“ შესახებ. თუმცა კრებას 100-მდე კაცი დაესწრო, მაგრამ აღნიშნული საკითხი მაინც ვერ გაირჩა, იმიტომ რომ კრებაზე არც ერთი მხარეს ოფიციალური წარმომადგენელი არ გამოცხადდა. კრებას დაესწრო შემთხვევით ერთი წევრი, რომელმაც მოკლეთ თავისი აზრი გამოსთქვა სახელმწიფო სათათბიროზე და „პასუხის მგებელ სამინისტროზე“ კრებამ გადასწყვიტა კიდევ მოიწვიოს სხდომები ამ საკითხის შესახებ, იმიტომ რომ მას დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს როგორც პარტიისთვის ისე საზოგადოთ მთელი ხალხისთვის.

**პოლონეთის და ლიტვის ს.-დემოკრატიის მეხუთე სიეზდი.**

ჩვენ გაზეთში აღვნიშნეთ კიდეც, რომ ზემოხსენებულმა სიეზდმა სწორ ტაქტიკათ სცნო სათათბიროს ბოიკოტის ტაქტიკა და უარჰყო კადეტების სამინისტროს გაყვანისთვის მხარის დაჭერა. სახელმწიფო სათათბიროს შესახებ, როგორც ამავე სიეზდზე გამოირკვა პოლონელი ამხანაგები იმ აზრის არიან რომ ის (სათათბირო) წარმოადგენს დ-ოებითი ცენტრს, რომლის გარშემო ირაზმება და ეწყობა ხალხის ოპოზიცია.“ ამავე დროს ამ სიეზდის რეზოლიუცია პარტიის მოვალეობათ სთვლის სათათბიროს რადიკალურ ელემენტების მარცხნით გადაბირებას და მთავრობის და **სათათბიროს უმრავლესობის** წინააღმდეგ აქტიურ ოპოზიციაში ჩაბმას.

სიეზდმა განიხილა აგრეთვე ც. კ.-ის ცირკულიარი „კრიტიკის თავისუფლების“ შესახებ და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ისეთი ახსნა აგიტაციის თავისუფლების და კრიტიკის თავისუფლების, როგორც ც. კ. იძლევა ცირკულიარში, პრაქტიკულათ მხოლოთ „პარტიის იდეური განვითარების შევიწროებაა“ და მეტი არაფერი, რადგან ც. კ. — ცდილობს პარტიის პოლიტიკური ხელმძღვანელობის უფლება მთელ პარტიას შეუზღუდოს და მარტო თავისთვის დაიტოვოს

## მუშათა ცხოვრება

**პირველი რაიონი.** ამ თვის 26 მებაღეებმა (300 კაცამდის) წარუდგინეს ხაზეინებს შემდეგი მოთხოვნილება. 1) რვა საათის სამუშაო დღე (ზოგიერთნი ცხრა საათს თხოულობენ) 2) საათ ნახევარი დასვენება სადილისთვის, 3) კვირა უქმით სრული თავისუფლება, 4) ჯამაგირის მომატება ეხლავე 20% და ყოველ წელიწადს სამი მანეთი, 5) სამუშაო ტანსაცმელი, 6) თვეში ორჯელ აბანო. 7) საცხოვრებელი ბინის ჰიგიენური გაუმჯობესობა, 8) ავატყოფობის დროს მუქთი ექიმი ერთი თვის განმავლობაში, მხოლოთ დანარჩენი ექვსი თვე ადგილის შენახვა, 9) ზრდილობიანი მოპყრობა ხაზეინებისაგან.

ამ მოთხოვნილების ასასრულებლათ სამ დღეს აძლევენ და თუ არ იქნება ასრულებული ამ დროში ყველა ეს მოთხოვნილება, გაფიცვას აპირებენ.

## დეპეშები

(„პეტერბურგის სააგენტოსაგან“)

26 ივნისი.

**პეტერბურგი. სახელმწიფო სათათბირო. ლევშინის** აზრით ებრაელების აკლება საშუალო საუკუნოების ინკვიზიციის გამეორებაა. ძველათ კერპთაყვანის მცემლები მონებს კერპებს სწირავდენ, მაგრამ ბოლოს ერთი ღმერთი იწამეს და ამას ბოლო მოეღო. საშუალო საუკუნოებში ინკვიზიტორები დიდებულათ სწვავდენ ებრაელებს, იმიტომ რომ ისინი ეწინააღმდეგებოდენ ძველ რეჟიმს და ეკონომიური მონობის პრინციპს. ახლაც იგივე ხდება — მაგრამ ახლა ებრაელებს ბნელ სარდაფებში და სოროებში ხოცავენ. დროა ბოლო მოეღოს საშუალო საუკუნოების ბარბაროსობას. დროა მთავრობის მოხსენებისადმი ყოველი ნდობა დავკარგოთ. შემდეგ ორატორი ლაპარაკობს ებრაელი და რუსეთის ხალხის ინტერესების ერთიანობაზე და მოუწოდებს მთელ „დუმას“ ცხარე აგიტაცია გასწიოს და გამოარკვიოს ხალხის თვალში ებრაელთა კითხვის ნამდვილი მნიშვნელობა. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ კაცობრიობის იდეალისთვის; ამ ბრძოლაში ყველა ეროვნება ხელი-ხელ ჩაკიდული გასწევს წინ. **თავმჯდომარე** აცხადებს, რომ კიდევ 34 ორატორმა უნდა ილაპარაკოს. „დუმა“ მთავრობის უკანონო მოქმედების გამო რჩევას შეუდგა. გაცხარებულ ბა სს იწვევს მთავრობის უკანონო მოქმედება აგრარულ საკითხში. რა უფლებით გამოაქვეყნა მთავრობამ თავისი სახელით ეს ცნობა? **კუზმინ კარავაევი** აღშფოთებულია მთავრობის „პროვოკაციით“ და წინადადებას აძლევს „დუმას“ გამოსცეს და გაავრცელოს საწინააღმდეგო ცნობა. „დუმამ“ მიიღო მისი წინადადება.

**პეტერბურგი**. საერო განათლების სამინისტრომ 1907 წელში საყოველთაო სწავლის შემოსაღებათ 5,400,000 მან. გადადებას აპირებს. დანარჩენი 10 წლისთვის 5 მილიონი იქნება გადადებული. — „გოლოსის“, „ტრუდის“, „ნედელიას“, „რუსკოე სვობოდნოე სლოვოს“, „სოვრემენაია ჟიზნის“, „სევერნაია ზემლიას“ და „ეხოს“ რედაქტორები სისხლის სამართალში იქნენ მიცემული.

**ტამბოვი**. (ოფიციალური კორესპონდენტისაგან) მეშვიდე კავალერიის პოლკში არეულობა ხდება. მოკლეს ქვეითა ჯარის აფიცერი. დასჭრეს დრაგუნი და მოუკლეს 6 ცხენი ნეჟინის პოლკის ესკადრონს, რომელიც იერიშით მივიდა აჯანყებულებზე. კავალერიის პოლკი ყაზარმებში ჩასაფრდა.

**კრონშტადი**. კაპიტ. კლაპს-დე-კოლონს პოლკოვნიკ ფილიპოვსკის, ნაღმოსანის უფროსს ბარანოვს და ლეიტენანტ ლეონტიევს სამხედრო-საზღვაო სასამართლომ დახვრეტა გადაუწყვიტა, მაგრამ იმათ შეუძლიათ ხელმწიფესთან შუამდგომლობა აღძრან. ად. როჟესტვენსკი და დანარჩენი ბრალდებულები გაამართლეს.

**ეკატერინოსლავი**. (ოფიციალური კორესპონდენტისგან). იუზოვკაში დაბინავებული კაზაკების უფროსმა 23 ივნისს დაატუსაღა 10 კაზაკი რომლებმაც დემონსტრატიულათ უარი განაცხადეს სამსახურის ასრულებაზე. დაჭერილები ბახმუტში გაგზავნეს. საღამოს მუშებმა მიტინგი გამართეს და გადაწყვიტეს კაზაკების განთავისუფლება, 5000 კაცი შემოესია ყაზარმებს; იმ როტას, რომელიც ხალხის გაფანტვას ცდილობდა, მუშებმა ქვები დაუშინეს. უფროსის ბრძანებით ჯარმა ისროლა, მსუბუქათ დაიჭრა ერთი მუშა და ერთი ქალი. ჯარის მხრით ქვებით დაშავებულა ერთი აფიცერი და სალდათი. საღამოს 3000 მუშა სადგურისკენ წავიდა დაჭერილების გამოსახსნელათ მუშებმა გზა დაიჭირეს და დაატყვევებულების დაბრუნებას ითხოვდენ. ჯარის მოახლოვებაზე ხალხი გაიფანტა. მეორე დღეს 3000 მუშა კვლავ შეიკრიბა და შეეცადა დაჭერილების განთავისუფლებას მარა ამაოდ. ამჟამათ იუზოვოში სიწყნარეა.

**იუზოვკა**. კაზაკების „სოტნა“ ვერხოდნეპროვსკში გადაიყვანეს, იმიტომ რომ „სოტნამ“ მანიფესტანტების და მიტინგების გაფანტვაზე უარი თქვა.

**ზემლიანსკი**. აქაური მემამულე ალმაზოვი, 300 გლეხებთან ერთად დადიოდა და ძალით ართმევდა მათ მუშებს, ძალითვე ართმევდა ხელშეკრულობს გლეხებისთვის მიწების დათმობაზე და აძევებდა მემამულეებს მათი მამულიდან. ალმაზოვი და სხვა მეთაურები დაიჭირეს. კაზაკებს და სტრაჟნიკებს გლეხებთან შეტაკება მოუვიდათ. გლეხებმა იმათ ქვები დაუშინეს. რადგანაც შეღამდა, კაზაკებმა და სტრაჟნიკებმა უკან დაიხიეს.

27 ივნისი

**ასტრახანი**. 5 კაზაკს და რამდენიმე მუშას ჩხუბი მოუვიდათ. მუშებს სხვა ამხანაგებიც შეუერთდენ და კაზაკები ყაზარმებთან მირეკეს; კაზაკებმა ხმლებით ვერაფერი გააწყვეს და სხვა ამხანაგებთან ერთათ სამჯერ ისროლეს ჰაერში. დაიჭრა თათარი მუშა; გალახულია ერთი კაზაკი და დაშავებულია სამი.

**ოდესა**. პორტში საერთო გაფიცვაა.

**ბორისოვი**. გაფიცენ სპიჩკის ფაბრიკის მუშები.

**პეტერბურგი**. პეტერბურგის ქარხნებში და ფაბრიკებში, მუშები ირჩევენ მუშათა დელეგატების კომიტეტებს, მუშათა საპარლამენტო ფრაქციასთან და მშრომელთა ჯგუფთან კავშირის დასაჭერათ. — გლეხთა დეპუტატების გაზეთის დღევანდელი ნომერი დაატყვევეს.

**კოსტრომა**. ბარკას „მაკარიევეც“-ს, რომელსაც ასაფეთქებელი მასალები მიქონდა კოსტრომიდან 5 ვერსტის მანძილზე, დაეცა 4 შეიარაღებული კაცი. დარაჯები შეშინდენ, 19 მგზავრი შეიარაღებულების წასვლამდის ხელებ აწეული იდგენ, გაიტაცეს 12 ფუთი პიროქსილინი და დინამიტი, გავიდენ ნაპირზე და ბუჩქებში მიიმალენ.

**ზემლიანსკი**. გლეხების და კაზაკების შეტაკების დროს მოკლულია 4 გლეხი, დაჭრილია 3. კაზაკებმა დაიჭირეს მოთავეები.

**ატკარსკი**. ელეში მუშებს ახალმოსულ მუშებთან ჩხუბი მოუვიდათ. მოვიდა პრისტავი და სტრაჟნიკები; ხალხი შემოესია იმათ და ცხენებიდან ჩამოთრევა უნდოდა. პრისტავი და სტრაჟნიკები მიიმალენ. მუშებმა მოკლეს ურიადნიკი და აიკლეს პრისტავის სახლი.

**პეტერბურგი**. სახელმწიფო სათათბირო. თავმჯდომარე დოლგორუკოვია. დიდხანს ლაპარაკობენ ბელოსტოკში ებრაელების აკლებაზე. ყველაფერში მთავრობას სდებენ ბრალს. მინისტრები ამბობენ, რომ იმათ არაფერი არ იცოდენ, იმათ ვერაფერი ვერ გააწყეს და სხვა... ამნაირი თავის გამართლებით მინისტრები ამტკიცებენ, რომ რუსეთში მთავრობა არ არის, რომ რუსეთში ანარქია მეფობს. მთავრობა ცდილობს დაამტკიცოს, რომ ჯარი ებრაელებს იცავდა, და მადლობის გამოცხადებაც უნდა ჯარისთვის. ეს საშინელი სიცრუეა. ამის გარდა მთავრობა ამბობს, რომ ებრაელები სახლებიდან ესროდენ ჯარებს. ესეც საშინელი ცილის წამებაა. სამხედრო მინისტრმა ბელოსტოკის ამბები მხოლოთ გაზეთებიდან გაიგო — საგულისხმიერო ფაქტია სწორეთ. ლაპარაკობს ციმბირელი დეპუტატი ნიკოლაევსკი. ორატორი გაკვრით შეეხო ბელოსტოკის ამბებს და მერე ილაპარაკა სადგურ ილანსკზე მელლერ-ზაკომელსკის ბრძანებით მუშების დახვრეტაზე. ციმბირში ამ გენერალმა ისეთი საშინელი საქმეები ჩაიდინა, რომ მისი სახელით პატარა ბავშვებს აშინებენ დედები. ორატორს არ აკმაყოფილებს ბელოსტოკის შესახებ შეკითხვის რედაქცია: „დუმამ“ უნდა მოითხოვოს ყველა დამნაშავეთა სამართალში მიცემა, გოროდოვოიდგან დაწყებული მინისტრამდის. ეხლანდელი „დუმა“ მხოლოდ ხალხის ორგანიზაციისთვის არის საჭირო; ნამდვილი პარლამენტი მთელი ხალხის ამორჩეული უნდა იყოს. — სხდომა გათავდა 7 საათზე.

**მოსკოვი**. იაროსლავის რკინის გზაზე მიმავალ სახალხო მატარებელს დაეცნენ; მოკლეს დარაჯი, დასჭრეს კასსირი, გაიტაცეს 27.000 მანეთი და მიიმალნენ.

**პეტერბურგი**. სახელმწიფო საბჭოში სიკვდილით დასჯაზე სჯა ბაასი აქვთ. ტაგანცევი თავის მშვენიერ სიტყვაში სიკვდილით სასჯელის წინააღმდეგია. მღვდელი **ბუტკევიჩი** სიკვდილით სასჯელს იცავს მორალის და ქრისტეს მოძღვრების სახელით.

რედ.-გამომცემელი **ნ. ახმეტელაშვილი**